PKF

Accountants &
business advisers

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი

დოკუმენტების სამართლებრივი შესწავლის ანგარიში

ნოემბერი 2014

დოკუმენტების სამართლებრივი შესწავლის ანგარიში

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელის" ხელმძღვანელობას

A. შესავალი

ანგარიშის მიზანი და ამოცანა შემოიფარგლება შემდეგით:

- სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელის" მიერ ჩვენთვის მოწოდებული დოკუმენტების იდენტიფიცირება და განხილვა;
- პრობლემატური საკითხების გამოყოფა და რეკომენდაციების გაწევა.

წინამდებარე ანგარიში შემოიფარგლება მხოლოდ მასში განხილული დოკუმენტებით და არ მოიცავს სახელმწიფო შესყიდვების დოკუმენტების სამართლებრივ შესწავლას, რაც შესწავლილ იქნა 2013 წლის განმავლობაში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების აუდიტის ცალკე ანგარიშში და წარედგინა მაუწყებელს.

ანგარიშის ამოცანებიდან გამომდინარე, სამართლებრივი ხასიათის პრობლემატური საკითხების გამოყოფის და რეკომენდაციების გაწევის მიზნით, ჩვენ მოგვიწია განგვეხილა დოკუმენტები, რომლებიც მოიცავდა არა მხოლოდ შემოწმების პერიოდს, არამედ მის წინარე და მომდევნო წლებს. მაგალითად, ჩვენ არა მხოლოდ 2014 წლის შრომითი ხელშეკრულებები განვიხილეთ, არამედ, გენერალური დირექტორის 2010 წლის 13 იანვრის ბრძანებით #2 დამტკიცებული შინაგანაწესი, რომელიც ჩვენის აზრით, იყო და არის 2013-2014 წლებში თანამშრომლებთან ინდივიდუალურად გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ნაწილი. აღვნიშნავთ, რომ ჩვენ არ განგვიხილია შემოწმების პერიოდში გაფორმებული და ვადაგასული ხელშეკრულებები.

ჩვენს მიერ განხილული ყველა დოკუმენტი იყო ქართულ ენაზე. დოკუმენტების ასლების განხილვისას ჩვენ ვენდეთ მოცემული ასლების სისწორეს და ნამდვილობას. ჩვენს მიერ განხილული დოკუმენტების ჩამონათვალი მოცემულია ანგარიშის დანართში.

ჩვენი სამართლებრივი დასკვნები ეყრდნობოდა მოცემული დროისთვის მოქმედ საქართველოს კანონმდებლობას.

ჩვენ დადგენილად მივიჩნიეთ, რომ ჩვენს მიერ ანგარიშზე მუშაობისას შესწავლილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს გააჩნდა უფლებამოსილება და უფლება განეხორციელებინა შესაბამისი ქმედებები და დაედო შესაბამისი ხელშეკრულებები.

B. ძირითადი ფაქტები

ქვემოთ წარმოგიდგენთ იურიდიული შესწავლის შედეგად გამოვლენილ ძირითად ფაქტებს.

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის" დებულება

1.1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის" დებულება (ახალი რედაქცია) დამტკიცებულია საჯარო სამართლის იურიდილი პირის ,,საზოგადოებრივი

PKF UBC Services is a member firm of the PKF International Limited network of legally independent firms and does not accept any responsibility or liability for the actions or inactions on the part of any other individual member firm or firms.

მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს მიერ 2008 წლის 28 ივლისს # 108 გადაწყვეტილებით (ოქმი #68).

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შინაგანაწესი

2.1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შინაგანაწესი დამტკიცებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის 2010 წლის 13 იანვრის ბრძანებით #2.

3. შრომითი ხელშეკრულებები

3.1. 2014 წლის 9 სექტემბერს საზოგადოებრივ მაუწყებელსა და ნოდარ ჩიჩუას შორის გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება #536, რომლის თანახმად ნოდარ ჩიჩუა მუშაობს საინფორმაციო სამსახურში კორესპონდენტის თანამდებობაზე.

3.2. 2014 წლის 1 სექტემბერს საზოგადოებრივ მაუწყებელსა და ნიკა მუსერიძეს შორის გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება #539, რომლის თანახმად ნიკა მუსერიძემ მუშაობს ვიზუალური გაფორმების, ანონსების და პრომოუშენის განყოფილებაში მემონტაჟის თანამდებობაზე.

3.3. 2014 წლის 30 ივნისს საზოგადოებრივ მაუწყებელსა და ნინო ფირცხალავას შორის გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება #205, რომლის თანახმად ნინო ფირცხალავა მუშაობს I არხის გადაცემაში - ,,ყოჩაღების ქუჩაზე“ პროდიუსერის თანამდებობაზე.

3.4. 2014 წლის 29 აგვისტოს საზოგადოებრივ მაუწყებელსა და ხვთისო ჯაჭვაძეს შორის გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება #522, რომლის თანახმად ხვთისო ჯაჭვაძე მუშაობს ავტომეურნეობაში მძღოლის თანამდებობაზე.

3.5. 2014 წლის 1 ივლისს საზოგადოებრივ მაუწყებელსა და სალომე სორდიას შორის გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება #204, რომლის თანახმად სალომე სორდია მუშაობს II არხში კორესპონდენტის თანამდებობაზე.

4. სხვა მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები

4.1. მაუწყებელს ,,მაუწყებლის შესახებ კანონის“ შესაბამისად, სხვადასხვა დროს გაფორმებული აქვს სპონსორობის ხელშეკრულებები სხვადასხვა სპონსორებთან სპონსორობის უფლების გადაცემის მიზნით.

4.2. მაუწყებელს გაფორმებული აქვს სალიცენზიო ხელშეკრულება ნიდერლანდურ კომპანია ენდემოლ ინთერნეიშენელ ბი ვი-სთან სატელევიზიო პროგრამების წარმოების, სამაუწყებლო, პროდუქტის განთავსების, პროგრამების „ნოუ ჰაუ“-ს გამოყენების ექსკლუზიური უფლებების გამოყენებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე მაუწყებელს მიღებული აქვს სატელევიზიო ფორმატის სალიცენზიო უფლებები რომლის ვადაა 2015 წლის 14 იანვრამდე.

C. სამართლებრივი ანალიზი და რეკომენდაციები

ანგარიშის ამ ნაწილში უფრო დეტალურად არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმ იურიდიული დოკუმენტების მიხედვით, რომლებიც ჩვენთვის იქნა მოწოდებული სამუშაოს პროცესში. წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს მონაცემებს საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულების, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ოქმების, საზოგადოებრივი მაუწყებლის შინაგანაწესის, და საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესახებ.

1.1. საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულება (ახალი რედაქცია)

საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულება (ახალი რედაქცია) დამტკიცებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს 2008 წლის 28 ივლისის # 108 გადაწყვეტილებით (ოქმი # 68).

დებულება შეიცავს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის მარეგულირებელი დოკუმენტაციისთვის დამახასიათებელ დებულებებს. საზოგადოებრივი მაუწყებლის შიდა სტრუქტურა და შიდა ორგანოების უფლებამოსილებები, თანახმად დებულებაში მოცემულისა, შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

სამეურვეო საბჭო წარმოადგენს მთავარ სტრუქტურულ და ხელმძღვანელ ორგანოს, რომელიც განსაზღვრავს მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებს, ამტკიცებს მაუწყებლის დებულებას, ბიუჯეტს და მისი შესრულების ანგარიშს და სხვა. სამეურვეო საბჭოს მუშაობის რეგლამენტი, თანახმად დებულებისა, განისაზღვრება საბჭოს გადაწყვეტლებით.

მაუწყებლის საქმიანობის ყოველდღიური ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებანი ეკისრება მაუწყებლის დირექტორს, რომელსაც თავის მხრივ ნიშნავს სამეურვეო საბჭო.

მაუწყებლის ეთერში საზოგადოებრივი ინტერესების და მოთხოვნილებების წარმოდგენის, აგრეთვე „მაუწყებლის შესახებ კანონის“ მე-16 მუხლით განსაზღვრული შინაარსობრივი ვალდებულებების განხორციელების უზრუნველსაყოფად იქმნება საზოგადოებრივი საბჭოები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან საზოგადოების უშუალო მონაწილეობით შეიმუშაონ რეკომენდაციების მაუწყებლისთვის. საზოგადოებრივი საბჭოების სახეები, რაოდენობა, ფორმირების და საქმიანობის წესი და ფუნქციები, თანახმად დებულებისა, განისაზღვრება სამეურვეო საბჭოს მიერ. დებულება შეიცავს სპეციალურ შეზღუდვებს მაუწყებლის დირექტორის მიერ მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თანხმობის გარეშე ისეთი გარიგებების დადებაზე, რომლის ღირებულებაც აღემატება მაუწყებლის ბიუჯეტის 1%-ს.

გამოვყოფთ პრობლემატურ საკითხს, რომელსაც ჩვენ წავაწყდით დებულების გაანალიზების პროცესში. დებულების 5.3.5.-ე პუნქტის შესაბამისად, გენერალური დირექტორი ამტკიცებს მაუწყებლის საშტატო განრიგს და სახელფასო განაკვეთს, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის, 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტთან, რომლის შესაბამისად, სამეურვეო საბჭო გენერალური დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საზოგადოებრივი მაუწყებლის საშტატო განრიგს და თანამშრომელთა თანამდებობრივ სარგოებს, სახელფასო ფონდს, მათ შორის, საპრემიო ფონდს და პრემიების ზღვრულ ოდენობებს.

როგორც გავარკვიეთ მაუწყებლის იურიდიული სამსახურისთვის ცნობილია იმის შესახებ, რომ მაუწყებლის დებულების რიგი ნაწილებისა წინააღმდეგობაში მოვიდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონთან მას შემდეგ, რაც ამ კანონში 2013 წლის 12 ივლისს შეტანილი იყო ცვლილება.

კანონში ცვლილების განხორციელების შემდგომ სამეურვეო საბჭოს ძველი შემადგენლობით გადაწყვეტილებების მიღების შეუძლებლობის გამო, ახალი სამეურვეო საბჭოს არჩევამდე ვერ განხორციელდა დებულების კანონის ახალ რედაქციასთან შესაბამისობაში მოყვანა. ახლად არჩეული სამეურვეო საბჭოს წინაშე საკითხი დებულების ხარვეზების გასწორების აუცილებლობის თაობაზე იყო დაყენებული იურიდიული სამსახურის მიერ და საკითხი დგას მიმდინარე სამუშაო საკითხებს შორის.

<u>რეკომენდაცია: დებულების 5.3.5.-ე პუნქტი შეიცვალოს და მოვიდეს შესაბამისობაში „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის, 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტთან.</u>

1.2. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს 2013 წლის 04 თებერვლის სხდომის ოქმი #227

2013 წლის 4 თებერვალს, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება (ოქმი #227). კერძოდ, სამეურვეო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ. დებულების ცვლილების თანახმად, დებულების 3-ე და 5.3.6-ე პუნქტები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. ოქმით #227 სამეურვეო საბჭომ ცვლილებები შეიტანა მაუწყებლის სტრუქტურაში და გენერალური დირექტორის მიერ სტრატეგიული საბჭოს ხელმძღვანელის, გენერალური დირექტორის მოადგილეების, მაუწყებლის სტრუქტურილი ხელმძღვანელების დანიშვნასთან დაკავშირებით, მაუწყებლის თანამშრომლებთან ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურების ხელმძღვანელების დანიშვნასთან დაკავშირებით. ოქმით # 227 გადაწყვეტილება ძალაშია 2013 წლის 1 მარტიდან. ოქმს ხელს აწერენ სამერუვეო საბჭოს თავმჯდომარე - ლევან გახელაძე, წევრები - მამუკა ფაჩუაშვილი, დავით კანდელაკი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, ავთანდილ ანთიძე, ნატალია დვალი, ზაზა კორინთელი. ოქმს დანართი 1 სახით თან ერთვის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი და სამერუვეო საბჭს #244 გადაწყვეტილებით და ოქმი #227 დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს და მისი აპარატის სტრუქტურის სქემა.

1.3. *სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2013 წლის 18 აპრილის სხდომის ოქმი # 234*

2013 წლის 18 აპრილს, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება (ოქმი #234). კერძოდ, სამეურვეო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დებულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ. დებულების ცვლილების თანახმად, დებულების 3-ე და 5.3.6-ე პუნქტები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. ოქმით #234 სამეურვეო საბჭომ ცვლილებები შეიტანა მაუწყებლის სტრუქტურაში და გენერალური დირექტორის მიერ სტრატეგიული საბჭოს ხელმძღვანელის, გენერალური დირექტორის მოადგილეების, მაუწყებლის სტრუქტურული ხელმძღვანელების დანიშვნასთან დაკავშირებით, მაუწყებლის თანამშრომლებთან ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურების ხელმძღვანელების დანიშვნასთან დაკავშირებით. ოქმით # 234 გადაწყვეტილება ძალაშია 2013 წლის 18 აპრილიდან. ოქმს ხელს აწერენ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე - ლევან გახელაძე, წევრები - მამუკა ფაჩუაშვილი, დავით კანდელაკი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, ავთანდილ ანთიძე, ზაზა კორინთელი. ოქმს დანართი 1 სახით თან ერთვის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი და სამერუვეო საბჭოს #259 გადაწყვეტილებით და ოქმი #234 დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს და მისი აპარატის სტრუქტურის სქემა.

გამოვყოფთ პრობლემატურ საკითხს, რომელსაც ჩვენ წავაწყდით ზემოაღნიშნული ოქმების გაანალიზების პროცესში. როგორც ირკვევა არ არის დაცული „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 01 ივლისის

ბრძანებულების №414 მოთხოვნები. კერძოდ, ბრძანებულების მე-20.6-ე მუხლს თანახმად, ოქმები ინომრება რიგითი ნომრებით კალენდარული წლის ფარგლებში, რაც ამ შემთხვევაში არი იყო დაცული. ოქმების დანომრვა ხდებოდა არა კალენდარული წლის ფარგლებში რიგითი ნომრებით, არამედ წლების განმავლობაში მიყოლებით. ასევე, ბრძანებულების მე-20.3-ე მუხლის თანახმად, ოქმების შესავალ ნაწილში შეივსება შემდეგი რეკვიზიტები: თავმჯდომარე; მდივანი; ესწრებოდნენ; დღის წესრიგი, რაც ჩვენს შემთხვევაში არ არის შევსებული.

<u>რეკომენდაცია: შემუშავდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს მიერ გადაწყვეტილებით მისაღები ოქმის დოკუმენტალური ფორმატი „საქმის წარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 01 ივლისის ბრძანებულების №414 მოთხოვნების შესაბამისად.</u>

1.4. საზოგადოებრივი მაუწყებლის შინაგანაწესი

საზოგადოებრივი მაუწყებლის შინაგანაწესი დამტკიცებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის 2010 წლის 13 იანვრის ბრძანებით #2.

შინაგანაწესი შეიცავს საქართველოს შრომითი კანონმდებლობის შესაბამისად შრომის მარეგულირებელ დებულებებს, სამუშაო, შვებულების, დასვენების ხანგრძლივობის, ანაზღაურების წესის, შრომის პირობების დაცვის წესების შესახებ და სხვა.

აქვე გამოვყოფთ რამოდენიმე პრობლემატურ საკითხს, რომელსაც ჩვენ წავაწყდით შინაგანაწესის გაანალიზების პროცესში.

1. შინაგანაწესის მე-9 მუხლის მე-12 პუნქტი ისეა ჩამოყალიბებული, თითქოს დასაქმებულს აქვს უფლება მოითხოვოს შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო მხოლოდ 477 კალენდარული დღის ოდენობით, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანულ კანონს, საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლის მიხედვით დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება 730 კალენდარული დღის ოდენობით. ხოლო, კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუქტის თანახმად ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან ანაზღაურებადია 183 კალენდარული დღე და არა შინაგანაწესისეული 126 კალენდარული დღე. ხოლო, მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში 200 კალენდარული დღე და არა 140 კალენდარული დღე.

2. შინაგანაწესის მე-9 მუხლის მე-14 პუნქტის მიხედვით დასაქმებულს, რომელმაც იშვილა ერთ წლამდე ბავშვი, თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო ბავშვის დაბადებიდან 365 კალენდარული დღის ოდენობით. შვებულებიდან ანაზღაურებადია მხოლოდ 70 კალენდარული დღე, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანულ კანონს საქართველოს შრომის კოდექსის 28-ე მუხლს, რომელის მიხედვით დასაქმებულს, რომელმაც იშვილა ერთ წლამდე ასაკის ბავშვი, თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ბავშვის დაბადებიდან 550 კალენდარული დღის ოდენობით და არა 365 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 90 კალენდარული დღე.

როგორც იურიდიული სამსახურის წარმომადგენელისგან გავიგეთ მაუწყებლის ხელმძღვანელობისთვის ცნობილი იყო იმის შესახებ, რომ შინაგანაწესის აღნიშნული დებულებები წინააღმდეგობაში მოვიდა შრომის კოდექსთან მას შემდეგ, რაც ამ კანონში 2013 წლის 4 ივლისს შეტანილი იყო ცვლილება. როგორც შევიტყვეთ, მოცემულ კანონში ცვლილების განხორციელების

შემდგომ იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა შინაგანაწესის ახალი რედაქციის პროექტიც, რომელიც ამ მომენტისთვის დგას მიმდინარე საკითხებს შორის განსახილველად.

<u>რეკომენდაცია: შინაგანაწესის მე-9 მუხლის მე-12 და მე-14 პუნქტები საქართველოს ორგანულ კანონს საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე და 28-ე მუხლებთან შესაბამისობაში უნდა იყოს მოყვანილი.</u>

1.5. შრომითი ხელშეკრულება №75

2014 წლის 2 ივნისს დაიდო შრომითი ხელშეკრულება სსიპ ,,საზოგადოებრივ მაუწყებელსა" და ბესარიონ გაფრინდაშვილს შორის. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ბესარიონ გაფრინდაშვილმა დაიწყო მუშაობა ტელემაუწყებლობის მთავარი რეჟისორის სამსახურის ოპერატორების ჯგუფში ოპერატორის თანამდებობაზე. ხელშეკრულების თანახმად, დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა განისაზღვრა თანამდებობრივი ინსტრუქციით. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2014 წლის 2 ივნისიდან 2015 წლის 1 ივნისამდე.

1.6. შრომითი ხელშეკრულება №536

2014 წლის 9 სექტემბერს დაიდო შრომითი ხელშეკრულება სსიპ ,,საზოგადოებრივ მაუწყებელსა" და ნოდარ ჩიჩუას შორის. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ნოდარ ჩიჩუამ დაიწყო მუშაობა საინფორმაციო სამსახურში კორესპონდენტის თანამდებობაზე. ხელშეკრულების თანახმად, დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა განისაზღვრა თანამდებობრივი ინსტრუქციით. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2014 წლის 9 სექტემბრიდან 2015 წლის 9 სექტემბრამდე.

1.7. შრომითი ხელშეკრულება #539

2014 წლის 1 სექტემბერს დაიდო შრომითი ხელშეკრულება სსიპ ,,საზოგადოებრივ მაუწყებელსა" და ნიკა მუსერიძეს შორის. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ნიკა მუსერიძემ დაიწყო მუშაობა დაიწყო ვიზუალური გაფორმების, ანონსების და პრომოუშენის განყოფილებაში მემონტაჟის თანამდებობაზე. ხელშეკრულების თანახმად, დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა განისაზღვრა თანამდებობრივი ინსტრუქციით. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე.

1.8. შრომითი ხელშეკრულება # 205

2014 წლის 30 ივნისს დაიდო შრომითი ხელშეკრულება სსიპ ,,საზოგადოებრივ მაუწყებელსა" და ნინო ფირცხალავას შორის. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ნინო ფირცხალავამ დაიწყო მუშაობა I არხის გადაცემაში - ,,ყოჩაღების ქუჩაზე" პროდიუსერის თანამდებობაზე. ხელშეკრულების თანახმად, დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა განისაზღვრა თანამდებობრივი ინსტრუქციით. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან განუსაზღვრელი ვადით.

1.9. შრომითი ხელშეკრულება # 522

2014 წლის 29 აგვისტოს დაიდო შრომითი ხელშეკრულება სსიპ ,,საზოგადოებრივ მაუწყებელსა" და ხვთისო ჯაჭვაძეს შორის. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ხვთისო ჯაჭვაძემ დაიწყო მუშაობა ავტომეურნეობაში მძღოლის თანამდებობაზე. ხელშეკრულების თანახმად, დასაქმებულის

მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა განისაზღვრა თანამდებობრივი ინსტრუქციით. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე.

1.10. შრომითი ხელშეკრულება # 204

2014 წლის 1 ივლისს დაიდო შრომითი ხელშეკრულება სსიპ ,,საზოგადოებრივ მაუწყებელსა" და სალომე სორდიას შორის. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე სალომე სორდიამ დაიწყო მუშაობა II არხში კორესპონდენტის თანამდებობაზე. ხელშეკრულების თანახმად, დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა განისაზღვრა თანამდებობრივი ინსტრუქციით. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2014 წლის 1 ივლისიდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე.

გამოვყოფთ პრობლემატურ საკითხებს, რომელთაც ჩვენ წავაწყდით დებულების გაანალიზების პროცესში. კერძოდ, შრომითი ხელშეკრულების 8.1. მუხლის თანახმად დამსაქმებელი უფლებამოსილია დაუდგინოს დასაქმებულს ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვის ვალდებულება, „რომელსაც დამსაქმებელი გონივრულად თვლის კონფიდენციალურად" და ასევე დაუდგინოს ვალდებულება რომ, შრომითი ურთიერთობის დროს და ამ ურთიერთობის დასრულების შემდეგ მიღებული ინფორმაცია არ გამოიყენოს თავის სასიკეთოდ.

ცალსახად აღვნიშნავთ, რომ ეს ჩანაწერი წინააღმდეგობაში მოდის შრომის კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვებთან, რომლის თანახმად, აღნიშნული შეზღუდვა აღარ გამოიყენება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ. შრომის კოდექსის 46.3-ე მუხლის თანახმად, შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება დადგინდეს დასაქმებულის ვალდებულება, შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულებისას მიღებული ცოდნა და კვალიფიკაცია არ გამოიყენოს სხვა, კონკურენტი დამსაქმებლის სასარგებლოდ. ეს შეზღუდვა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტიდან 6 თვის განმავლობაში, იმ პირობით, რომ ამგვარი შეზღუდვის მოქმედების პერიოდში დამსაქმებელი დასაქმებულს გადაუხდის ანაზღაურებას არანაკლებ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას არსებული ოდენობით.

მიგვაჩნია, რომ შრომით კოდექსის ეს პუნქტი ითვალისწინებს დასაქმებულის ინტერესებს და მდგომარეობას, რადგან მეტ თავისუფლებას ანიჭებს დასაქმებულს კარიერული ცვლილების კუთხით. შრომის კოდექსის 1.3.-ე პუტქტის თანახმად, დაუშვებელია მათი გაუარესება შრომითი ხელშეკრულებით. თუმცა, ცხადია აღნიშნული არ უნდა მოხდეს დამსაქმებლის ინტერესების ხარჯზე.

<u>რეკომენდაცია: რეკომენდებული იქნება დამსაქმებლის მხრიდან, შრომითი ურთიერთობის გონივრული პერიოდის განმავლობაში პერიოდული ანალიზით განისაზღვროს საიდუმლო ინფორმაციის კონკრეტული მოცულობა რათა შეზღუდვა იყოს მეტად ეფექტური და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე, შრომის კოდექსის შესაბამისად, დამსაქმებლის და დასაქმებულის ინტერესების გათვალისწინებით.</u>

1.11. სხვა მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები

1.11.1. ხელშეკრულება #115-3

2013 წლის 5 აგვისტოს მაუწყებელმა გააფორმა ხელშეკრულება #115-3 შპს თბილგვირაბმშენთან. აღნიშნული ხელშეკრულებით მაუწყებელმა არაკომერციული გამოყენების მიზნით დროებით, 2013 წლის 16 აგვისტომდე გადასცა თბილგვირაბმშენს მაუწყებელის საკუთრებაში არსებული და არქივში დაცული ვიდეო მასალების ჩანაწერები, კერძოდ: დოკუმენტური ფილმები თბილისის მეტროპოლიტენი -2009, ქრონომეტრაჟი - 21 წთ. და მიწისქვეშა გზების მშენებლები - 1982 წელი,

ქრონომეტრაჟ - 17 წთ. ხელშეკრულების თანახმად, ჩანაწერების სანაცვლოდ თბილგვირაბმშენმა მაუწყებელს გადაუხადა საფასური 38 ლარის ოდენობით დღგ-ს ჩათვლით.

1.11.2. ხელშეკრულება #130-2

2013 წლის 30 აგვისტოს მაუწყებელმა გააფორმა ხელშეკრულება #130-2 შპს E&S Dent-თან. აღნიშნული ხელშეკრულებით მაუწყებელმა გადასცა E&S Dent-ს მაუწყებლის სატელევიზიო ეთერში სერიალი „ჭორიკანა"-ს სპონსორობის უფლება ხელშეკრულების დანართი #1-ის პირობების შესაბამისად ერთი თვით - 2013 წლის 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით. ხოლო E&S Dent-მა იკისრა ვალდებულება გადაუხადოს მაუწყებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასური და უზრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება. ხელშეკრულების თანახმად, სპონსორობის უფლების გადაცემის ღირებულება შეადგენს 2000 ლარს დღგ-ს ჩათვლით.

1.11.3. ხელშეკრულება #202-4/85

2013 წლის 25 დეკემბერს მაუწყებელმა გააფორმა ხელშეკრულება #202-4/85 შპს MEDIA 10-თან. აღნიშნული ხელშეკრულებით მაუწყებელმა გადასცა MEDIA 10-ს მაუწყებლის სატელევიზიო ეთერში გადაცემა "დღეს" სპონსორობის უფლება ხელშეკრულების დანართი #1-ის პირობების შესაბამისად. ერთი თვით - მხარეებს შორის შეთანხმებულ დროს ხელშეკრულების დადებიდან 2014 წლის 1 აგვისტომდე. სპონსორმა იკისრა ვალდებულება უზრუნველყოს მაუწყებლის მიერ დაწესებულ ნომინაციაში - სპორტულ ჟურნალისტიკაში შეტანილი წვლილისთვის - გამარჯვებულისათვის გადასაცემი ჯილდოს (ტელევიზორი SONY – 40R473/1) მიწოდება მაუწყებლისათვის არაუგვიანეს 2013 წლის 26 დეკემბრისა ღირებულებით 1450.00 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

1.11.4. ხელშეკრულება #151-5/38

2013 წლის 4 ოქტომბერს მაუწყებელმა გააფორმა ხელშეკრულება #151-5/38 შპს MEDIA 10-თან. აღნიშნული ხელშეკრულებით მაუწყებელმა დაუთმო MEDIA 10-ს ტელევიზიის 1 არხზე 5 წუთი სარეკლამო დრო რეკლამის თავისუფალი განთავსების უფლებით სპორტული რეპორტაჟების, საერთაშორისო ფესტივალებისა და კონკურსების ფარგლებში 2014 წლის 1 აპრილამდე და გაუწია სარეკლამო მომსახურება. აღნიშნულის სანაცვლოდ MEDIA 10-მა იკისრა ვალდებულება მიეწოდებინა მაუწყებელისთვის 70 სკამი არაუგვიანეს 2013 წლის 8 ოქტომბრისა საერთო ღირებულებით 2800 ლარი დღგ-ს ჩათვლით. ერთი სკამის ღირებულება შეადგენდა 40 ლარს დღგ-ს ჩათვლით.

1.11.5. ხელშეკრულება #164-5/72

2013 წლის 28 ოქტომბერს მაუწყებელმა გააფორმა ხელშეკრულება *#164-5/72* შპს MEDIA 10-თან. აღნიშნული ხელშეკრულებით მაუწყებელმა დაუთმო MEDIA 10-ს ტელევიზიის 1 არხზე 5 წუთი სარეკლამო დრო რეკლამის თავისუფალი განთავსების უფლებით სპორტული რეპორტაჟების, საერთაშორისო ფესტივალებისა და კონკურსების ფარგლებში 2014 წლის 1 ივნისამდე და გაუწია სარეკლამო მომსახურება. აღნიშნულის სანაცვლოდ MEDIA 10-მა იკისრა ვალდებულება მიეწოდებინა მაუწყებელისთვის სატელევიზიო გასართობ-შემეცნებითი გადაცემის „დღეს" სამზარეულოსთვის დანართ #1-ში მითითებული სამზარეულო ტექნიკის მიწოდება არაუგვიანეს 2013 წლის 1 ნოემბრისა საერთო ღირებულებით 2800 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

1.11.6. ხელშეკრულება #137-3/29

2011 წლის 28 სექტემბერს მაუწყებელმა გააფორმა ხელშეკრულება *#137-3/29* შპს ამერიკულ ქართული განათლების ცენტრთან. აღნიშნული ხელშეკრულებით მაუწყებელმა გადასცა ამერიკულ ქართული

განათლების ცენტრს მაუწყებლის სატელევიზიო გადაცემა „სპიკერი"-ს სპონსორობის უფლება დანართი #1-ს პირობების შესაბამისად. შემკვეთმა იკისრა ვალდებულება მაუწყებლის გადაცემა „სპიკერი"-ს კონკურსში გამარჯვებულის საზაფხულო სკოლაში გაგზავნა უცხოეთში 2012 წლის ზაფხულში, დააფინანსოს კონკურსში გამარჯვებულის მგზავრობა, სწავლა და იქ ცხოვრება, ასევე, უზრუნველყოს კონკურსში გამარჯვებულის თავის საგანმანათლებლო ცენტრში მოსამზადებელ კურსებზე სწავლება საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების მიზნით.

1.11.7. ხელშეკრულება 165-6/54

2013 წლის 29 ოქტომბერს მაუწყებელმა გააფორმა ხელშეკრულება *#165-6/54* შპს ჯორჯიან თრეველ გრუპთან. აღნიშნული ხელშეკრულებით მაუწყებელმა გადასცა ჯორჯიან თრეველ გრუპს ფეხბურთში 2013-2014 წლის უეფას ჩემპიონთა ლიგის მატჩის 1 არხის ეთერში ჩვენებისას სპორტული ვიქტორინების სპონსორობის უფლება და მომსახურების გაწევა ხელშეკრულების დანართ 1-ში აღნიშნული პირობების შესაბამისად. სპონსორმა იკისრა ვალდებულება მაუწყებლის წინაშე გახდეს ფეხბურთში 2013-2014 წლის უეფას ჩემპიონთა ლიგის მატჩის 1 არხის ეთერში ჩვენებისას სპორტული ვიქტორინების სპონსორი და უზრუნველყოს ვიქტორინებში ჯგუფური ეტაპის გამარჯვებულისთვის პრიზის - 2 კაციანი 1 კვირიანი საგზურის 5*-იანი სასტუმროშ საშობაოდ - დაწესება და გადაცემა ღირებულებით 3800 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

1.11.8. ხელშეკრულება #1-12/121

2013 წლის 9 იანვარს მაუწყებელმა გააფორმა ხელშეკრულება *#1-12/121* შპს თბილისის დივანთან. აღნიშნული ხელშეკრულებით მაუწყებელმა გადასცა თბილისის დივანს სატელევიზიო გადაცემის „უცნობი მუსიკის" სპონსორობის უფლება. სანაცვლოდ სპონსორმა იკისრა ვალდებულება მაუწყებლისთვის გადაეცა მისი კუთვნილი დარბაზი დროებით სარგებლობაში გადაცემის გადაცემის „უცნობი მუსიკა"-ს ჩაწერისათვის.

1.11.9. ხელშეკრულება #45-7/156

2013 წლის 29 მარტს მაუწყებელმა გააფორმა ხელშეკრულება *#45-7/156* შპს თბილისის დივანთან. აღნიშნული ხელშეკრულებით მაუწყებელმა გადასცა თბილისის დივანს სატელევიზიო გადაცემის „უცნობი მუსიკის" სპონსორობის უფლება. სანაცვლოდ სპონსორმა იკისრა ვალდებულება მაუწყებლისთვის გადაეცა მისი კუთვნილი დარბაზი დროებით სარგებლობაში გადაცემის გადაცემის „უცნობი მუსიკა"-ს ჩაწერისათვის.

1.11.10. ხელშეკრულება #16-9/127

2013 წლის 1 თებერვალს მაუწყებელმა გააფორმა ხელშეკრულება *#16-9/127* შპს Media Partner-თან. აღნიშნული ხელშეკრულებით მაუწყებელმა გადასცა Media Partner-ს სატელევიზიო ეთერში დილის საინფორმაციო - გასართობი გადაცემის „ჩვენი დილა"-ს სპონსორობის უფლება ხელშეკრულების დანართ 1-ში პირობების შესაბამისად. სანაცვლოდ სპონსორმა იკისრა ვალდებულება გახდეს მაუწყებლისთვის სატელევიზიო ეთერში 2013 წლის 1 თებერვლიდან 2013 წლის 1 აპრილამდე - დილის საინფორმაციო - გასართობი გადაცემის „ჩვენი დილა"-ს სპონსორი და უზრუნველყოს ჟურნალ "Forbs Georgia"-ს მაუწყებლის საიმიჯო სტატიისა და სარეკლამო გვერდის განთავსება 2013 წლის 1 თებერვლიდან 2013 წლის 1 აპრილამდე საერთო ღირებულებით 4000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (ჟურნალის ერთი გვერდის ღირებულება ფასდაკლებით 2000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში).

1.11.11. ხელშეკრულება #154-2/36

2013 წლის 9 ოქტომბერს მაუწყებელმა გააფორმა ხელშეკრულება *#154-2/36* შპს Media Partner-თან. აღნიშნული ხელშეკრულებით მაუწყებელმა გადასცა Media Partner-ს სატელევიზიო ეთერში დილის საინფორმაციო - გასართობი გადაცემის „ჩვენი დილა"-ს სპონსორობის უფლება უფლება ხელშეკრულების დანართ 1-ში პირობების შესაბამისად. სანაცვლოდ სპონსორმა იკისრა ვალდებულება გახდეს მაუწყებლისთვის სატელევიზიო ეთერში 2013 წლის 15 ოქტომბრიდან 2014 წლის 1 აგვისტომდე - დილის საინფორმაციო - გასართობი გადაცემის „ჩვენი დილა"-ს სპონსორი დაუთმოს ჟურნალში "Forbs Georgia"-ს ყოველთვიურად თვეში ერთხელ მაუწყებლის საიმიჯო სტატიებისა და სარეკლამო მასალების განთავსებისთვის ჟურნალის 2 გვერდი 2013 წლის 15 ოქტომბრიდან 2014 წლის 1 აგვისტომდე საერთო ღირებულებით 24000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (ჟურნალის 2 გვერდის (1 შლა) ღირებულებაა 2400 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

1.11.12. ხელშეკრულება #192-7/115

2012 წლის 24 დეკემბერს მაუწყებელმა გააფორმა ხელშეკრულება *#192-7/115* შპს ჯი ეფ კომპანისთან. აღნიშნული ხელშეკრულებით მაუწყებელმა გადასცა ჯი ეფ კომპანის საბავშვო გადაცემის „პეპე და მისი მეგობრები"-ს სპონსორობის უფლება. სანაცვლოდ სპონსორმა იკისრა ვალდებულება გახდეს საბავშვო გადაცემის „პეპე და მისი მეგობრები"-ს სპონსორი და უზრუნველყოს 2012 წლის „საახალწლო გადაცემის" და საბავშვო გადაცემა „პეპე და მისი მეგობრები"-ს ჩაწერისას პოროტექნიკით მომსახურების გაწევა მის მიერ მოწოდებული ინვოისის შესაბამისად საერთო ღირებულებით 14870 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

1.11.13. ტელევიზიის ფორმატის ლიცენზიის ხელშეკრულება (ინგლისური ვარიანტი)

2013 წლის 31 ივლისსს მაუწყებელმა გააფორმა ხელშეკრულება ნიდერლანდურ კომპანია ენდემოლ ინთერნეიშენელ ბი ვი-სთან. აღნიშნული ხელშეკრულებთ ენდემოლ ინთერნეიშენელ ბი ვი-მ ლიცენზიით გადასცა მაუწყებელს სატელევიზიო პროგრამების წარმოების, სამაუწყებლო, პროდუქტის განთავსების, პროგრამების „ნოუ ჰაუ"-ს გამოყენების ექსკლუზიური უფლებები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. სანაცვლოდ მაუწყებელმა იკისრა ვალდებულება გადაუხადოს ენდემოლ ინთერნეიშენელ ბი ვი-ს სრული სატელევიზიო ფორმატის ლიცენზიის საფასური, სრული სატელევიზიო საკონსულტაციო საფასური, მუსიკალური კომპოზიციის სინქრონიზაციის უფლების საფასური და მუსიკის ხმის ჩამწერი სინქრონიზაციის უფლების საფასური. სატელევიზიო ფორმატის ვადა განისაზღვრა 18 თვით 2013 წლის 15 აგვისტოდან 2015 წლის 14 იანვრამდე ან ენდემოლ ინთერნეიშენელ ბი ვი-ს მიერ ლიცენზიის შეწყვეტის მომენტამდე, რომელიც უფრო ადრე მოხდება.

PKF UBC Services llc

PKF UBC Services LLC

თარიღი: 26 ნოემბერი 2014 წელი